

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 4 7 3

ქ. ბათუმი, 02 აგვისტო 2018 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის და მასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და მე-40 მუხლით დადგენილია საჯარო დაწესებულების ვალდებულება დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე და უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. დადგენილების შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებულ და დანართში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. ამავე დადგენილების შესაბამისად კი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების და „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის და არქივის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხათუნა აბულაძე.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყ-

ნებაზე პასუხისმგებელ პირს უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის გაცემა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) განთავსება.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

4 ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციის განყოფილების სპეციალისტმა (IT სპეციალისტმა) უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა.

5. დაევალოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თავიანთ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულში განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მოთხოვნისთანავე მოძიებას და მიწოდებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ი, განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. დაევალოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მოთხოვნისთანავე, აგრეთვე „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ფორმით უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიწოდება.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის №259 ბრძანება;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის №266 ბრძანება.

გ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის №267 ბრძანება.

8. ბრძანება მისი საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) და მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი